ქართული

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებისა და ინდიკატორების მიხედვით

6

ტესტების რვეული

თინათინ კუხიანიძე

სულაკაურის გამომცემლობა

მიმართულება: კითხვა

7 დიაგნოსტიკური ტესტი

ტესტი 1 5
ტესტი 2 10
ტესტი 3 16
ტესტი 4 19
ტესტი 5 25
ტესტი 6 30
ტესტი 7 36
ტესტი 8 41



შეფასება

ტესტების დავალებები შეფასდება ან სწორი პასუხების რაოდენობით, ან სამქულიანი სისტემით.

სამქულიანი სისტემით დავალება შეფასდება შემდეგნაირად:

წარმატებით გაუმკლავდა – 3 ქულა

გაუმკლავდა – 2 ქულა

ვერ დაძლია – 1 ქულა

მასწავლებლის გვერდი

სტანდარტის შედეგი №1

ქართ. დაწყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

მოწმდება სამი დიაგნოსტიკური ტესტით (ტესტი 1, ტესტი 2, ტესტი 3)

შეფასების ინდიკატორები:

1. განაფულად კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს.
   ამოწმებს: ტესტი 2, კითხვა 1; ტესტი 2, კითხვა 2; ტესტი 2, კითხვა 3; ტესტი 2, კითხვა 4; ტესტი 2, კითხვა 5; ტესტი 2, კითხვა 6; ტესტი 2, კითხვა 7; ტესტი 2, კითხვა 8
2. ამოიცნობს მხატვრული და არამხატვრული (პრაგმატული) ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (მიზანს, ავტორს, ადრესატს...).
   ამოწმებს: ტესტი 2, კითხვა 2; ტესტი 2, კითხვა 3; ტესტი 2, კითხვა 4; ტესტი 2, კითხვა 7
3. ახალ ინფორმაციას აკავშირებს არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან.
   ამოწმებს: ტესტი 1, კითხვა 7; ტესტი 2, კითხვა 8; ტესტი 2, კითხვა 9
4. ამოიცნობს და ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას.
   ამოწმებს: ტესტი 2, კითხვა 3; ტესტი 2, კითხვა 4, ტესტი 2, კითხვა 5; ტესტი 2, კითხვა 6
5. განარჩევს ვარაუდს ფაქტისაგან, ფაქტს – თვალსაზრისისაგან.
   ამოწმებს: ტესტი 3, კითხვა 1
6. ამოიცნობს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ და ქრონოლოგიურ კავშირებს.
   ამოწმებს: ტესტი 2, კითხვა 1; ტესტი 2, კითხვა 2; ტესტი 2, კითხვა 3; ტესტი 2, კითხვა 4
7. განსაზღვრავს ცალკეული პერსონაჟის ხედვის კუთხეს.
   ამოწმებს: ტესტი 1, კითხვა 1; ტესტი 2, კითხვა 5; ტესტი 2, კითხვა 6
8. გამოკვეთს მთავარ ინფორმაციას და გადმოსცემს მას საკუთარი სიტყვებით.
   ამოწმებს: ტესტი 3, კითხვა 2; ტესტი 3, კითხვა 3
9. ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, გაპიროვნებას, ჰიპერბოლას), ხატოვან გამონათქვამებს და გაიაზრებს მათ ფუნქციას.
   ამოწმებს: ტესტი 1, კითხვა 2; ტესტი 1, კითხვა 3; ტესტი 1, კითხვა 4; ტესტი1, კითხვა 5; ტესტი 1, კითხვა 6; ტესტი 1, კითხვა 7; ტესტი 2, კითხვა 1; ტესტი 2, კითხვა 10; ტესტი 2, კ. 11; ტესტი 2, კ. 12
10. თხრობითი ხასიათის ტექსტებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, მოქმედების განვითარებას და დასასრულს) და ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს ტექსტში მოძიებული კონკრეტული არგუმენტებით.
    ამოწმებს: ტესტი 3, კითხვა 4; ტესტი 3, კითხვა 5
11. სწორად „ამოიკითხავს“ ტექსტის ინტონაციას, პაუზებს, აზრობრივ აქცენტებს.
    ამოწმებს: ტესტი 2, კითხვა 1; ტესტი 2, კითხვა 5; ტესტი 2, კითხვა 6; ტესტი 2, კითხვა 8
12. მართებულად იყენებს ადმინისტრაციული ხასიათის მარტივ ტექსტებს (სხვადასხვა ინსტრუქციას, ამა თუ იმ დაწესებულებაში მოქმედ წესებს, ფორმულარებს).
    ამოწმებს: ტესტი 3, კითხვა 6; ტესტი 3, კითხვა 7

მოსწავლის სამუშაო

შედეგი №1 ტესტი 1

მოცემულია ნაწყვეტი არჩილ სულაკაურის მოთხრობიდან „აბელის დაბრუნება“.
წაიკითხე ეს ნაწყვეტი და უპასუხე შეკითხვებს.
პასუხის გასაცემად მიუბრუნდი ტექსტის სათანადო მონაკვეთს.

აბელის დაბრუნება

(ნაწყვეტი)

იგი გაზაფხულზე დაბრუნდა...

მატარებელი მცხეთას გამოსცდა თუ არა, გული მოულოდნელად აუთრთოლდა, გამალებით დაუწყო ფეთქვა. სიხარული სხეულს შიგნიდან უთბობდა. ასეთი რამ თვრამეტი წლის მანძილზე არ განეცადა და ახლა თითქოს შეაკრთო ამ უეცარმა გულის ათრთოლებამ, კუპეში მიიყუჟა, თითქოს უნდოდა, როგორმე მორგებოდა კუთხეს.

თბილისში ჩამოსვლამდე რამდენიმე მატარებელი გამოიცვალა და რამდენიმე ათასი კილომეტრი გამოიარა. მგზავრები ყველგან ერთნაირები იყვნენ, ერთმანეთს ადვილად ეცნობოდნენ, ადვილად ეთვისებოდნენ და ეჩვეოდნენ, ადვილადვე შორდებოდნენ... ალბათ, ასევე ადვილად ივიწყებდნენ მერმე ერთმანეთს.

მთელი გზა მარტო იჯდა მიმყუდროებული. მარტო საუზმობდა, მარტო სადილობდა, მარტო ვახშმობდა. უძილობა აწუხებდა და უკვირდა, სხვა მგზავრები ადვილად რომ იძინებდნენ.

რამდენჯერმე მეზობელ მგზავრთა ეჭვიანი მზერა დაიჭირა, ისე როგორც ჩიტი იჭერს ხოლმე ჰაერში მწერს, და მიხვდა: უნდობლად ეკიდებოდნენ და ეს უნდობლობა მისი სიყუჩისა და მიუკარებლობისა იყო, მიხვდა და მაინც არ ცდილობდა მათი ეჭვის გაქარწყლებას.

– რატომ ფანჯარაში არ იხედებით? – ჰკითხა ერთ-ერთმა მგზავრმა.

აბელმა მხრები აიჩეჩა, გაუღიმა და არაფერი უპასუხა.

მართლაც, მატარებელი მიდიოდა, ქშენითა და გუგუნით მიდიოდა. გაუთავებლად, ათასობით კილომეტრს ნთქავდა... გამოიარა დათოვლილი ტაიგა, თვალუწვდენელი ტრამალები, სოფლები, დიდ-დიდი ქალაქები და აბელს ერთხელაც არ გაუხედავს გარეთ. მატარებელში ჩაჯდომამდე ეგონა, ფანჯარას ვერ მოაცილებდნენ. მაგრამ ვაგონში ამოსვლისთანავე დაკარგა ასეთი სურვილი

და თვითონაც არ იცოდა, რატომ დაემართა ეს, რატომ აღარ უნდოდა გარეთ გახედვა. ამიტომაც ვერ უპასუხა დაეჭვებულ მგზავრს; პასუხის ნაცვლად მხოლოდ გაიღიმა და გამხდარი მხრები აიჩეჩა.

ეს კი იყო, მგზავრთა თავისუფალი ქცევა პირველად ეჩოთირა. აღარ ეგონა, თუ ადამიანებს შეეძლოთ გაეკეთებინათ ის, რასაც მოისურვებდნენ, თუ შეეძლოთ მოურიდებლად ლაპარაკი ყველაფერზე.

აბელი თვრამეტი წლის მანძილზე გადაეჩვია ასეთ მოქცევას, ასე აშვებულად ლაპარაკს. ალბათ იმიტომაც დასჭირდა რამდენიმე დღე ადამიანებთან გასაშინაურებლად. მასში ნელ-ნელა, თითქოს ზმორებით იღვიძებდნენ თანდაყოლილი, მაგრამ მერმე მივიწყებული გრძნობები; იღვიძებდნენ ჩვევებიც, რომლებიც აქამდე აკრძალული ეგონა.

მთელი გზა საკუთარ თავს ადარებდა სხვა მგზავრებს და ამის მიხედვით უნდოდა თვალნათლივ დაენახა ის, რაც დაკარგა, და მერმე იმაზეც ფიქრობდა – შეძლებდა თუ არა მისი ასაკის კაცი დაკარგულის დაბრუნებას თუ აღდგენას.

სამი-ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ აბელი თითქოს გაშინაურდა. თავს უფრო მეტი ფიქრის უფლებას აძლევდა, ვიდრე მგზავრობის პირველ დღეს. ფიქრში უღიმოდა მგზავრებს, ესაუბრებოდა. ზოგჯერ ეთანხმებოდა, უსიტყვოდ უდასტურებდა ნათქვამს, ხოლო ზოგჯერ, ეს, რა თქმა უნდა, უფრო იშვიათად ხდებოდა, ეწინააღმდეგებოდა...

როდესაც აბელმა უცაბედად საკუთარ თავში წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღმოაჩინა, ჯერ გაუკვირდა, მერმე კი მონაცრისფრო ჩვარში ყველასაგან დაფარულად დამალა ცრემლი, როგორც ოქროსმაძიებელი ძონძებში მალავს სილაში ნაპოვნ ოქროს მარცვალს.

მგზავრობისას არასოდეს დაჰბადებია სურვილი, ვისმესთვის თავის თავგადასავალი ეამბნა, ანდა უბრალოდ ეთქვა – ვინ იყო, საიდან მოდიოდა, სად მიდიოდა. სხვა მგზავრები დიდი ხალისით უყვებოდნენ, კი არ უყვებოდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს და რამდენიმე წუთში უკვე ყველამ იცოდა ერთმანეთის საქმიანობა, პროფესია, სად მიემგზავრებოდნენ, ან რისთვის მიემგზავრებოდნენ. მერმე, ამას რიგრიგობით დაურთავდნენ ხოლმე ოჯახური ყოფის წვრილმანებს და ამის შემდეგ ნათლად ისახებოდა მათი პიროვნება.

ყველანი იყვნენ კეთილი და უბრალო ადამიანები, ყველა რაღაცას აკეთებდა, ზოგი – დიდს, ზოგი – პატარას, მაგრამ ყველას ერთნაირად აამაყებდა საქმე, რომლისთვისაც ხელი მოეკიდა, თუ თავი გადაედო. ყველას თავისი საქმე სხვისაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა და ამას მოურიდებლად ამბობდა კიდეც.

აბელი იჯდა და უსმენდა. მატარებელი კი მიქროდა, დღე და ღამე მიდიოდა დაუღლელად. უკან რჩებოდა დაუსრულებელი ტაიგა, ტრამალები, სოფლები და დიდ-დიდი ქალაქები...

მატარებელს მატარებელზე იცვლიდა...

ისევ სხვა ვაგონი... სხვა კუპე... სხვა ხალხი...

– ზღვა! – წამოიძახა ვიღაცამ.

მგზავრები ფანჯარას ეცნენ.

აბელი არ წამომდგარა, კუთხეში მიყუჟული ხედავდა მგზავრთა ზურგებს, დაჭიმულ, წაგრძელებულ კისრებს და ესმოდა აღტაცებული შეძახილები. გაახსენდა, ზღვა შებინდებისას ბევრჯერ უნახავს. და არა მარტო შებინდებისას უნახავს ზღვა. მაგრამ ახლა საღამო იყო და ალბათ ზღვაზე ბინდი წვებოდა, ანდა ზღვას უკვე ეფინა ბინდი – მსუბუქი და მუქი იისფერი.

მოულოდნელად იგრძნო, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა, ვიღაც ცდილობდა მის სულში ჩახედვას და შეშფოთდა, უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ქაღარა თმაზე ხელი გადაისვა და თვალი დახუჭა, მერმე მოეჩვენა – ის, რომელიც უთვალთვალებდა, აქამდეც თითქოს მასში არსებობდა და ცხოვრობდა, ოღონდ აღარ ახსოვდა – როდის გამოეყო, ანდა რატომ გაეთიშა. მერმე ისევ ფიქრობდა იმაზე, თუ ვინ იყო ის, რომელიც მის სულში ჩახედვას ცდილობდა.

უპასუხე:

1. როგორი ჩანს აბელი ამ ნაწყვეტიდან? დაწერე ორი ეპითეტი:

ა. _____

ბ. _____

ორივე პასუხის გასამყარებლად მოიყვანე არგუმენტები ტექსტიდან.

ა.

_____

_____

_____

_____

ბ.

_____

_____

_____

_____

/2

2. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებებში? სწორი პასუხი მონიშნე ✓-ით და წინადადებაში შესაბამის სიტყვებს ქვეშ ხაზი გაუსვი.

ა. აბელმა მხრები აიჩეჩა, გაულიმა და არაფერი უპასუხა.

- ☐ *ეპითეტი*
- ☐ *შედარება*
- ☐ *იდიომი*
- ☐ *ჰიპერბოლა*

ბ. ვიღაც ცდილობდა მის სულში ჩახედვას.

- ☐ *ეპითეტი*
- ☐ *შედარება*
- ☐ *იდიომი*
- ☐ *ჰიპერბოლა*
- ☐ *გაპიროვნება*

გ. მართლაც, მატარებელი მიდიოდა, ქშენითა და გუგუნით მიდიოდა. გაუთავებლად, ათასობით კილომეტრს ნთქავდა...

- ☐ *ეპითეტი*
- ☐ *შედარება*
- ☐ *იდიომი*
- ☐ *ჰიპერბოლა*
- ☐ *გაპიროვნება*

☐ /3

3. ამოიწერე ტექსტიდან ორი ეპითეტი.

ა. _____

ბ. _____

☐ /2

4. ქვემოთ მოცემული წინადადება ჰიპერბოლის გამოყენებით გადააკეთე ისე, რომ შინაარსი იგივე დარჩეს. შეგიძლია, რამდენიმე წინადადებაც დაწერო:

უკან რჩებოდა დიდ-დიდი ქალაქები...

_____

_____

☐ /1

5. ქვემოთ მოცემული წინადადება გაპიროვნების გამოყენებით გადააკეთე ისე, რომ შინაარსი იგივე დარჩეს. შეგიძლია, რამდენიმე წინადადებაც დაწერო.

უკან რჩებოდა დიდ-დიდი ქალაქები...

/1

6. ამოიწერე ტექსტიდან ორი შედარება და შენი სიტყვებით განმარტე, ამ მხატვრული ხერხის გამოყენებით რის თქმა სურდა ავტორს?

ა.

ბ.

/2

7. შენ რას გრძნობ, როდესაც ხალხმრავალ ადგილას ხვდები? გაიხსენე ასეთი შემთხვევა და შენი გრძნობები გადმოეცი მხატვრულად. თხრობისას აუცილებლად გამოიყენე ერთი გაპიროვნება და ერთი შედარება. ორივე მხატვრულ ხერხს ქვეშ ხაზი გაუსვი.

/3

/14

მოსწავლის სამუშაო

შედეგი №1 **ტესტი 2**

მოცემულია ნაწყვეტი ჯერალდ დარელის წიგნიდან „ჩემი ოჯახი და სხვა ცხოველები“. წაიკითხე ეს ნაწყვეტი და უპასუხე შეკითხვებს.

გადასახლება

ცივმა ქარმა ივლისი სანთელივით ჩააქრო და აგვისტოში ცას ტყვიისფერი გადააკრა. წვრილი წვიმის წვეთები ეკლებივით იჩხვლიტებოდა და ქარი რომ წამოუბერავდა, მღვრიე ნიაღვარივით მოთხლიშინებდა. ბორნმუთის სანაპიროს გასწვრივ გამწკრივებული ჯიხურები უაზრო, ხის სახეებით მისჩერებოდნენ მომწვანო-მორუხო, ქაფმორეულ ზღვას, რომელიც გაშმაგებული ასკდებოდა ცემენტის ჯებირს. თოლიები ქალაქს მოეფინნენ და შესაბრალისი კვნესით დაქროდნენ სახლების თავზე. ასეთი ამინდი თითქოს ადამიანის გამძლეობის გამოსაცდელად იდგა.

იმ დღეს ჩვენი ოჯახის წევრები მაინცდამაინც მომხიბლავად არ გამოიყურებოდნენ. ამინდის ცვლილებამ ნაირ-ნაირი დაავადება შეგვყარა. მე საშინლად გაციებული იატაკზე ვიწექი და ჩემი ნიჟარების კოლექციას ვალაგებდი. მთელი თავის ქალა თითქოს ცემენტით მქონდა ამოქოლილი და პირდაღებული ვხრუტტუნებდი. ჩემს ძმას, ლესლის, რომელიც მოღუშული იჯდა ბუხართან, ყურების ანთება ჰქონდა და ორივე ყურიდან სისხლი სდიოდა. ჩემს დას, მარგოს ახალი ფერიმჭამელები გამოაყარა, თუმცა სახე მანამდისაც მოფენილი ჰქონდა წითელი წერტილებით. დედაჩემის სურდოს რევმატიზმის შეტევაც დაერთო. ავადმყოფობას მხოლოდ ჩვენი უფროსი ძმა, ლარი გადაურჩა, მაგრამ ისიც კმაროდა, ჩვენი წვალებით რომ იყო გაღიზიანებული.

რა თქმა უნდა, ეს ამბავი სწორედ ლარიმ წამოიწყო. დანარჩენებს, ჩვენი ავადმყოფობის გარდა, სხვა რამეზე ფიქრის თავი არა გვქონდა. ლარი კი თვით განგებამ მოავლინა ქვეყანაზე პატარა, კაშკაშა ფეიერვერკად, რათა სხვებს ათასი სურვილი აუნთოს გულში, თვითონ კი სადმე მოკალათდეს, თავი მოიკატუნოს და შედეგებზე პასუხი არ აგოს. იმ დღეს ლარი თანდათან იბოღმებოდა. ბოლოს ოთახს გაბრაზებული მზერა მოავლო და გადაწყვიტა, იერიში დედაზე მიეტანა, რადგან იგი ყველა უბედურების აშკარა მიზეზად მიიჩნია.

– რატომ ვაკვლევინებთ თავს ამ საზიზღარ კლიმატს? – იკითხა მოულოდნელად და სველ, ამღვრეულ ფანჯრის მინებს გახედა, – შეხედე! ახლა კი ჩვენ შემოგვხედე... მარგოს სახე ფაფასავით გაუფუვდა... ლესლის თითო ყურში თოთხმეტი საჟენი ბამბა გაურჭვია... და ოთახში დაბორიალობს... ჯერი ისე

ლაპარაკობს, თითქოს მგლის ხახით დაბადებულიყოს... ახლა შენს თავს შეხედე! ყოველდღიურად უარესი და უარესი შესახედი ხდები.

დედამ უზარმაზარ წიგნს – „რაჯპუტანას იოლ რეცეპტებს“ – თვალი მოსწყვიტა.

– სრულიადაც არა! – წარმოთქვა აღშფოთებულმა.

– როგორ არა, – გაჯიქდა ლარი, – თანდათან ირლანდიელ მრეცხავ დედაკაცს ემსგავსები... ხოლო შენი შვილები სამედიცინო ენციკლოპედიის ილუსტრაციებად გამოდგებოდნენ.

დედამ გამანადგურებელი პასუხი ვერ მოიფიქრა. ვაჟიშვილს მრავლისმეტყველი მზერა მიაპყრო და ისევ წიგნი აიფარა.

– ჩვენ მზე გვჭირდება, მზე, – განაგრძო ლარიმ, – მართალს არ ვამბობ, ლეს?.. ლეს... ლეს!..

ლესლიმ ყურიდან ბამბის დიდი ნაგლეჯი გამოიღო.

– რა თქვი? – ჰკითხა ლარის.

– ესეც შენ! – შესძახა ლარიმ და ნიშნისმოგებით მიუბრუნდა დედას, – მასთან საუბარი საშინელება გახდა. აბა, მითხარი, რა ვიღონო! ერთ ძმას ჩემი არ ესმის, მეორე თვითონ ვერ მაგებინებს. დროა, რაღაცა შეიცვალოს. ნუ გგონიათ, რომ ამ უხალისო, ევკალიპტის სუნით გაჟღენთილ ატმოსფეროში უკვდავ პროზას შევქმნი!

– მართალი ხარ, შვილო, – დაიბნა დედა.

– ჩვენ ყველას მზე გვჭირდება, – ისევ საქმეს მიუბრუნდა ლარი, – მზე, მზიანი ქვეყანა, სადაც შვებით ამოვისუნთქავთ.

– ჰო, შვილო, კარგი იქნებოდა, – დედა ცალი ყურით უსმენდა და ისე ეთანხმებოდა.

– დღეს ჯორჯის წერილი მივიღე. მწერს, კორფუ მშვენიერი კუნძულიაო. იქნებ ჩვენც ავიკრათ გუდა-ნაბადი და წავიდეთ საბერძნეთში?

– უსათუოდ, რაკი შენ გინდა, – დაუფიქრებლად თქვა დედამ. საერთოდ, იგი ლარისთან ლაპარაკისას ყოველთვის ფრთხილობდა, რაიმე პირობა არ დასცდენოდა.

– როდის? – ჰკითხა საკმაოდ გაოცებულმა ლარიმ.

ახლა კი მიხვდა დედა, რომ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა და „რაჯპუტანას იოლი რეცეპტები“ გვერდზე გადადო.

– იქნებ ჯობდეს, შვილო, ჯერ შენ წახვიდე და ყველაფერი მოაგვარო. მერე, თუ მოგეწონება, წერილი გამომიგზავნე და ჩვენც ჩამოვალთ, – შემპარავად უპასუხა მან.

ლარიმ გამაცამტვერებელი მზერა მიაპყრო.

– ესპანეთში წასვლა რომ შემოგთავაზეთ, მაშინაც ასე მითხარი და მთელი ორი თვე გელოდებოდით სევილიაში, – შეახსენა დედას, – შენ კი აქედან ფეხს არ იცვლიდი და გრძელ-გრძელ წერილებს მწერდი, კანალიზაცია თუ არისო, სასმელი წყალიო... თითქოს მუნიციპალიტეტის მდივანი ვიყავი. არა და არა! საბერძნეთში თუ წავალთ, ერთად გავემგზავროთ.

– ნუ აჭარბებ, ლარი, – შესაბრალისად თქვა დედამ, – თანაც, ასე ხომ ვერ წამოვალ? სახლს ხომ რამე უნდა მოვუხერხო?

– რა უნდა მოუხერხო? ღმერთო ჩემო, ადექი და გაყიდე.

– ნუ სულელობ, – მტკიცედ უთხრა დედამ, – ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს ხომ უგუნურება იქნება...

ასე გავყიდეთ სახლი და მერცხლების გუნდივით გავექეცით ინგლისის უჟმურ ზაფხულს.

უპასუხე:

1. მონიშნე ✓-ით ყველა სწორი პასუხი, რომელიც იგულისხმება წინადადებაში.

ა. ცივმა ქარმა ივლისი სანთელივით ჩააქრო და აგვისტოში ცას ტყვიისფერი გადააკრა.

- ☐ *აგვისტო უფრო თბილი იყო, ვიდრე ივლისი*
- ☐ *სავარაუდოდ, ივლისში თბილოდა.*
- ☐ *აგვისტოში აცივდა.*
- ☐ *როცა ქარი დაუბერავს, ყოველთვის აცივდება ხოლმე.*

ბ. ბორნმუთის სანაპიროს გასწვრივ გამწკრივებული ჯიხურები უაზრო, ხის სახეებით მისჩერებოდნენ მომწვანო-მორუხო, ქაფმორეულ ზღვას, რომელიც გაშმაგებული ასკდებოდა ცემენტის ჯებირს.

- ☐ *სანაპიროზე ჯიხურები იდგა.*
- ☐ *ზღვაში ჯებირები იყო ჩამწკრივებული.*
- ☐ *ზღვა ძალიან ღელავდა.*
- ☐ *ჯიხურები მომწვანო-მორუხო ფერის იყო.*

☐ /2

2. სულ რამდენი ოჯახის წევრი ჩანს ამ ნაწყვეტში? შემოხაზე სწორი პასუხი.

ა. დედა, ორი ძმა, ორი და

ბ. დედა, ჯორჯი, მთხრობელი, ორი ძმა, ერთი და

გ. დედა, მამა, მთხრობელი, ორი და

დ. დედა, მამა, და, ძმა

☐ /1

3. შემოხაზე ყველა სწორი პასუხი.

ა. ოჯახის ყველა წევრი ავად იყო.

ბ. ავად იმიტომ იყვნენ, რომ წვიმდა.

გ. ავად იმიტომ გახდნენ, რომ აცივდა.

დ. ლარი არ იყო ავად.

/2

4. ვინ რით იყო ავად? მიუწერე სწორი პასუხი.

ა. დედა _____

გ. ლესლი _____

დ. მთხრობელი _____

/3

5. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ლარი არის...

ა. მხიარული

ბ. ინიციატივიანი

გ. ბოროტი

დ. ერთგული

მოიყვანე არგუმენტი შენი პასუხის განსამტკიცებლად:

_____

_____

_____

/2

6. მეოთხე დავალების სწორი პასუხის დასადასტურებლად ამოიწერე ტექსტიდან ერთი წინადადება.

ა. _____

_____

/1

7. ვინ რას აკეთებდა? შემოხაზე ყველა სწორი პასუხი:

ა. ლესლი ნიჟარების კოლექციას ალაგებდა;

ბ. ლარი თამაშობდა;

გ. ლესლი ბუხართან იჯდა;

დ. დედა წიგნს კითხულობდა.

/2

8. ტექსტიდან ჩანს, რომ...

ა. ინგლისში ხშირად წვიმს.

ბ. საბერძნეთში, ძირითადად, მზიანი ამინდებია.

გ. კორფუ არის კუნძული საბერძნეთში.

დ. კორფუ არის კუნძული ინგლისში.

/3

9. შემოხაზე, რომელ კონტინენტზეა საბერძნეთი და ინგლისი?

ა. აზიის **ბ.** ევროპის

გ. აფრიკის **დ.** ამერიკის

/1

10. წაიკითხე სიტყვის განმარტებები და ✓-ით მონიშნე, რომელია სწორი მნიშვნელობა.

ა. უჟმური

☐ *არსებითი სახელი*
1. მძიმე ხასიათის მქონე, უკმეხი, ძნელად შესაგუებელი, უხასიათო.
უჟმური ბავშვია.
2. გადატანითი ცუდი, უხალისო, უსიამოვნო.
უჟმური ამინდი. უჟმური დღე.

☐ *ზედსართავი სახელი*
1. მძიმე ხასიათის მქონე, უკმეხი, ძნელად შესაგუებელი, უხასიათო.
უჟმური ბავშვია.
2. გადატანითი სულელი
უჟმური ამინდი. უჟმური დღე.

☐ *ზედსართავი სახელი*
1. მძიმე ხასიათის მქონე, უკმეხი, ძნელად შესაგუებელი, უხასიათო.
უჟმური ბავშვია.
2. გადატანითი ცუდი, უხალისო, უსიამოვნო. უჟმური ამინდი. უჟმური დღე.